7 თებერვალი, 2018

დრო	სესია
12:00 - 12:30	**მისალმება**
12:30 - 14:00	**აუდიტის კონტექსტი, საჭიროება და პერსპექტივები საქართველოში**
	ანზორ მჟავანაძე, აუდიტის და პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
	შეხვედრის ამ ნაწილის მიზანია ერთად შევხედოთ ფართო სურათს და დავფიქრდეთ კონტექსტზე რომელშიც ყოველდღიურად ვახდენთ პროფესიული სტანდარტების გამოყენებას. კერძო კაპიტალის(ტურ) ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლიდან თითქმის 30 წელი გავიდა. ერთ-ერთი მთავარი ცვლილება რასაც ეს პროცესი გულისხმობს ალბათ არის ეკონომიკისთვის კაპიტალური აქტივების სახელმწიფო მიწოდებიდან კერძო მიწოდებაზე გადასვლა თავისუფალი ბაზრის პრინციპით. დამსწრე აუდიტორიასთან ერთად გავიხსენებთ და მიმოვიხილავთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის კაპიტალის მიწოდება, განსაკუთრებით დღევანდელ მაღალტექნოლოგიურ მსოფლიოში კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმნელად. ასევე, მიმოხილული იქნება თუ რა სტადიაზეა საქართველო ეფექტური და სანდო კაპიტალის ბაზრის შენების პროცესში მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით და რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროცესის დროულად და წარმატებით დასრულებისთვის ჩვენი პროფესიის გამართული მუშაობა. ასევე შევხედავთ კაპიტალის ბაზრის საქართველოში არსებულ ინფრასტრუქტურას (რისი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტიც არის აუდიტის პროფესია). გავიხსენებთ განსხვავებას ფულის ბაზარსა და კაპიტალის ბაზარს შორის და დამსწრე აუდიტორიასთან ერთად დავფიქრდებით თუ როგორი იქნება (ან სასურველია რომ იყოს) კაპიტალის ბაზარი ხვალინდელ საქართველოში და რა უნდა გააკეთოს ამისთვის ჩვენმა პროფესიამ.
14:00 - 14:20	*შესვენება*
14:20 - 15:20	**აუდიტის ხარისხის რეგულირების ჩარჩო**
	დავით სხილაძე - უფროსი სპეციალისტი *თორნიკე ძაგნიძე - უფროსი სპეციალისტი* *ანზორ მჟავანაძე - აუდიტის და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი*

	მიმოვიხილავთ აუდიტის ხარისხის რეგულირების ზოგად ჩარჩოს და მის თითოეულ ელემენტს. წარმოვადგენთ პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების პროცესების მოკლე აღწერილობას. ვისაუბრებთ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის პროცესზე: გავივლით პროცესს ქრონოლოგიურად, მიმოვიხილავთ მონიტორინგის შედეგად განსაზღვრული კატეგორიების განმარტებებს და დავფიქრდებით თუ რა შესაძლებლობებს აძლევს ეს პროცესი საშუალო და მცირე ზომის ფირმებს. ბოლოს, ასევე მოხდება 2017 წლის მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა.
15:20 - 17:30	**აუდიტის ხარისხი - მონიტორინგისა და რეესტრის წარმოების პროცესში გამოვლენილი ძირითადი გამოწვევები (პანელური განხილვა და დასმულ კითხვებზე პასუხი)**
	ანზორ მჟავანაძე, მოდერატორი *ნინო თომაძე - უფროსი სპეციალისტი* *ავთანდილ სანიკიძე - უფროსი სპეციალისტი* *ირაკლი როსტიაშვილი - უფროსი სპეციალისტი* *დავით ქურციკიძე - უფროსი სპეციალისტი* *დავით სხილაძე - უფროსი სპეციალისტი* *თორნიკე ძაგნიძე - უფროსი სპეციალისტი* *თამარ მარგიშვილი - უფროსი სპეციალისტი* *ანანო ხევიაშვილი - უფროსი სპეციალისტი*
	სამსახურის წარმომადგენლები განიხილავენ განხორციელებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის და რეესტრის წარმოების პროცესებზე ადმინისტრაციული დაკვირვების შედეგად გამოვლენილ ძირითად გამოწვევებს.